დასკვნა:**დ03. 3724102001**
თარიღი:**11/04/2024**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის შედეგებიდან გამომდინარე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია აღნიშნავს:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შედგენილია საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 4 მარტის N4 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

2. ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში მოცემული ინფორმაციული მასალა, რეალურად ასახავს ადგილობრივი თვითმმართველობის ფოკუსირების ვექტორს, მუნიციპალიტეტში არსებული ორგანიზაციული პრობლემების მოგვარების მიზნით 2023 წელს განხორციელებულ ღონისძიებებსა და შიდასტრუქტურულ ცვლილებებს.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების მიხედვით შესრულებულია. შემოსულობების ნაწილში კორექტირებული გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებელი გადაჭარბებითაა შესრულებული(ნაშთის გარეშე გეგმა 61 789,7 ათასი ლარი, შესრულება 61 915,9 ათასი ლარი). მათ შორის: გადასახადების გეგმიური მაჩვენებელი 513,7 ათასი ლარით არის გადაჭარბებული, ხოლო არასაგადასახადო შემოსავლების გეგმიური მაჩვენებელი კი 1 032,0 ათასი ლარით.

4. გეგმიური საბიუჯეტო შემოსავლების ისეთი სახე, როგორიცაა „არაფინანსური აქტივების კლება“ შესრულებულია 67,6%-ით. მიწისა და სხვა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ჯამური ოდენობის მიხედვით გეგმიურ მაჩვენებელს დააკლდა 275,5 ათასი ლარი.

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან გადასახდელების დაზუსტებული გეგმა 81 028,7 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურად კი ხარჯებმა 70 252,8 ათასი ლარი შეადგინა. გადასახდელების ნაწილში ბიუჯეტის შესრულები მაჩვენებელი 86,7%-ს შეადგენს.

6. 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 10 933,5 ათასი ლარი ნაშთის სახით, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 8 305,4 ათასი ლარით ნაკლებია. საანგარიშო წლის მთლიანი ნაშთიდან 6 371,2 ათასი ლარი შეადგენს საკუთარ შემოსავლებს.

კომისიას მიაჩნია, რომ 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ანგარიშზე რიცხული ნაშთის შემცირება დადებითი ტენდენციაა, თუმცა საბიუჯეტო რესურსების გამოყენების ეფექტურობის უზრუნველყოფის პირობებში, საკუთარი

შემოსავლების ხარჯზე ამ მოცულობით ნაშთის წარმოშობა საყურადღებოა.

7. საანგარიშო პერიოდში მერის სარეზერვო ფონდის გეგმიური ოდენობა განსაზღვრული იყო 350,0 ათასი ლარით, ფაქტობრივად დაიხარჯა 236,3 ათასი ლარი. იკვეთება შემდეგი ფაქტობრივი გარემოება_ ყველაზე დიდი მოცულობით ფონდის რესურსები დახარჯულია სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიმართულებით; საანგარიშო წელს ფონდიდან არ ყოფილა მიმართული სახსრები ისეთი გაუთვალისწინებელი საჭიროებების დასაფინანსებლად, როგორიცაა „განათლების ღონისძიებების ხელშეწყობა“ და „მასობრივი სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა“; შემცირებულია „სააფთიაქო დაწესებულებებში მედიკამენტების შესაძენად“ გაწეული დახმარებები და „მედიკამენტების შესაძენად და სამედიცინო მომსახურების დაფარვის მიზნით მოქალაქეთა პირად ანგარიშებზე თანხის ჩარიცხვა“, რაც განპირობებულია ბიუჯეტის ფუნქციონალურ-ორგანიზაციული კლასიფიკაციის გაუმჯობესებით.

კომისიას აღნიშნავს, რომ გამოვლენილი ხარვეზები ძირითადად არაა არსებითი ხასიათის და მიზანშეწონილად მიაჩნია ანგარიში გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი